



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
1 მარტი 2021

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის იანვარში რეალური მშპ წლიურად 11.5%-ით შემცირდა, დეკემბრის 7.9%-იანი კლების შემდეგ. იანვრის კლება ასახავს ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესებულ შეზღუდვებს (თვის პირველ ნახევარში 2-კვირიანი დასვენების ჩათვლით) და ასევე წინა წლის მაღალ ბაზას. ამასთან, იანვარში ზრდა დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის და საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში, ხოლო კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა, ტრანსპორტი, დამამუშავებელი მრეწველობა, უძრავი ქონება, სასტუმროები და რესტორნები და ვაჭრობა. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიშეა დღგ-ის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2021 წლის იანვარში წლიურად 19.6%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან შედარებით 0.1%-ით შემცირდა და 38.2 მლრდ ლარი შეადგინა. გაცლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელი წლიურად 8.9%-ით გაიზარდა. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტება წლიურად 7.9%-ით, ხოლო საცალო სესხები წლიურად 9.8%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). ამასთან, იპოთეკური სესხების გაცემები წლიურად 4.6%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). 2021 წლის იანვარში სესხების დოლარიზაციამ 55.4% (+0.31პპ წ/წ და +0.17პპ თ/თ) შეადგინა და უმოქმედო სესხები 2.5%-ს გაუტოლდა (+0.38პპ წ/წ და +0.28პპ თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები 2021 წლის იანვარში 20.7%-ით, ხოლო წინა თვესთან შედარებით 0.4%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 34.9 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, ლარის დეპოზიტები წლიურად 38.4%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ზრდა 10.5% იყო. ამასთან, იანვარში დეპოზიტების დოლარიზაციამ 61.5% შეადგინა (-1.87პპ წ/წ და +0.06პპ თ/თ).


S&P-იმ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB-ზე დაადასტურა, 2021 წლის 26 თებერვალს. ამასთან, პერსპექტივა შეცვალა სტაბილურიდან ნეგატიურზე, რაც ასახავს საქართველოს რისკებს მოიზიდოს საკმარისი სავალუტო ნაკადები საგარეო ვალდებულებების მომსახურებისთვის, ტურიზმის სექტორის ნელ აღდგენას და უცხოური ინვესტიციების შემოღინების სუსტ საშუალოვადიან პერსპექტივას. S&P-ის მიხედვით, საქართველოს რეიტინგს მხარს უჭერს ქვეყნის შედარებით ძლიერი ინსტიტუციური ინდიკატორები რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან შეღავათიანი დაფინანსების დროული მოზიდვა. S&P პროგნოზირებს საქართველოს ეკონომიკის 4.0%-იან ზრდას 2021 წელს, რასაც ხელს შეუწყობს შეზღუდვების მოხსნა და მთავრობის მხარდაჭერის ღონისძიების გაგრძელება.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	13,596	14,584	15,634
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,696
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	40.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB უარყოფითი დამატებითი თებერვალი-2021	 Ba2 სტაბილური დამატებითი აგვისტო-2020	 BB უარყოფითი დამატებითი თებერვალი-2021
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 23 თებერვალს 5-წლიანი 35 მლნ ლარის (10.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.2-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.09233-ით შემცირდა და 8.020% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 2 მარტს, სადაც 6-თვიანი 15 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	15	150	100
1-წელი	15	150	610
2-წელი	20	200	1,230
5-წელი	70	350	2,298
10-წელი	25	75	1,262
სულ	145	925	5,500

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2020 წლის 31 იანვრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სტბ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სტბ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სტბ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.31%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.15 (+0.45% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.49 (+0.05% წინა კვირასთან შედარებით), 5.22%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.46 (+0.06% წინა კვირასთან შედარებით), 3.59%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 106.99 ფასად (-0.23% წინა კვირასთან შედარებით), 2.48%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.57 (-0.06% წინა კვირასთან შედარებით), 1.70%-იანი შემოსავლიანობით.


ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილინეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	100.57	1.70	209.18
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	106.99	2.48	227.58
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/BB-/	100.46	3.59	320.41
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	106.15	3.31	306.48
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-	108.52	9.15	768.01
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B/B2	102.49	5.22	484.29
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B-/B1	110.47	7.15	566.01
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	106.39	3.67	323.57
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-/	106.01	9.64	829.93
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	B+/B-/	104.08	6.66	594.40

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	US\$	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B-/	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.24	7.20	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.37	7.25	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/B-/	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/B-/	100.00	7.50	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B-/B-/	100.00	12.00	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/B-/	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Baa2	100.57	1.70	209.18
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.59	1.62	136.08
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	104.01	4.74	453.04
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	110.37	0.95	50.26
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	110.04	0.87	58.89
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B2	100.19	3.08	505.55
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/B3	102.00	3.65	338.04

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN) აქციები დაიხურა 9.98 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -10.41% წინა კვირასთან შედარებით და -16.13% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 274 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.77 – 11.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 33 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.05 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.94% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელი გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 293 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 4.70 – 5.42 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 35 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN) აქციები დაიხურა 10.86 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -5.24% წინა კვირასთან შედარებით და -11.71% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 263 ათასს გადააჭარბა, GBP 10.86 – 11.48 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 39 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	9.98	491	7.9%	-41.8%	-18.2%	6.88x	4.03x	0.83x	0.71x
TBC	TBC	GBP	10.86	597	19.5%	-18.1%	-13.1%	6.14x	4.40x	0.86x	0.73x
Halyk Bank	HSBK	US\$	13.05	3,835	11.5%	-17.4%	12.0%	5.45x	4.93x	1.08x	0.98x
VTB Bank	VTBR	US\$	0.95	6,147	4.0%	-33.5%	-0.6%	6.43x	2.36x	0.33x	0.35x
Akbank	AKBNK	TRY	6.06	31,512	22.2%	-20.1%	-12.6%	7.38x	5.09x	0.73x	0.62x
Garanti	GARAN	TRY	8.92	37,464	29.3%	-16.1%	-14.0%	7.69x	5.13x	0.83x	0.72x
Isbank	ISCTR	TRY	5.73	25,785	15.3%	-9.3%	-18.1%	5.35x	4.33x	0.54x	0.48x
PKO	PKO	PLN	30.14	37,675	35.2%	-6.6%	4.9%	12.96x	11.20x	0.82x	0.79x
PEKAO	PEO	PLN	67.80	17,795	25.6%	-28.9%	11.0%	14.60x	10.80x	0.69x	0.66x
Millennium	MIL	PLN	4.13	5,007	38.4%	-21.0%	26.2%	69.85x	19.77x	0.54x	0.52x
Mbank	MBK	PLN	221.60	9,382	15.4%	-33.5%	23.7%	37.37x	17.81x	0.54x	0.54x
BRD	BRD	RON	14.44	10,063	24.5%	-7.2%	-2.8%	12.17x	9.64x	1.08x	1.27x
Banca Transilvania	TLV	RON	2.15	11,214	4.4%	-5.4%	-4.4%	11.26x	10.45x	1.31x	1.29x
OTP	OTPD	USD	22.40	12,544	-1.8%	-1.8%	-1.8%	12.52x	11.03x	0.70x	0.65x
Komerční	KOMB	CZK	678.00	128,853	24.9%	-8.1%	3.2%	15.26x	13.43x	1.08x	1.03x
საშუალო								15.42x	8.96x	0.80x	0.76x
მედიანა								11.26x	9.64x	0.82x	0.71x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.05	186	35.0%	-31.9%	-6.5%	n/a	n/a	n/a	n/a
Tinc Comm	TINC	EUR	12.30	335	-7.2%	-12.1%	-5.0%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	10.48	21,383	30.3%	11.8%	-8.6%	6.24x	5.49x	0.82x	0.70x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	37.10	558	15.6%	4.7%	12.1%	n/a	12.19x	1.22x	1.21x
Eurazeo	RF	EUR	61.35	4,832	36.5%	-3.1%	10.5%	27.59x	8.35x	0.83x	0.78x
Carlyle Group	CG	USD	34.25	3,791	27.1%	14.9%	8.9%	5.76x	4.74x	5.66x	4.29x
საშუალო								13.20x	7.69x	2.13x	1.74x
მედიანა								6.24x	6.92x	1.02x	0.99x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოდობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge